შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№49 (9.663)

29 დეკემბერი-4 იანვარი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

2014 წელი მნიშვნელოვანი იყო მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, მათ შორის კახეთისთვისაც. ხელისუფლებაში ყოფნის ორი წელიწადი უამრავი პრობლემის დაძლევისათვის ბრძოლა იყო. დადებითი ძვრები შეინიშნებოდა ყველა სფეროში, ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი ადამიანი და მისი პრობლემების მოგვარება იყო, ამიტომ ვცდილობდით, ხშირად ვყოფილიყავით მოსახლეობასთან და მათი მდგომარეობა უშუალოდ შეგვესწავლა, მათგან მოგვესმინა ის პრობლემები, რომლებიც აწუხებთ. სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ჯანდაცვის სექტორის გაუმჯობესების მიზნით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების სიკეთე უამრავმა ადამიანმა გამოსცადა. აშენდა და კვლავ გაგრძელდება თანამედროვე, მრავალფუნქციური საავადმყოფოების მშენებლობა კახეთის რეგიონში. კვლავ უამრავი პროგრამა განხორციელდება და ყველა იგრძნობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მათზე რეალურად ზრუნავენ. აგრარული სექტორის ხელშემწყობი პროექტი 2015 წელსაც გაგრძელდება, რაც საირიგაციო სისტემების მოწყობასა და სათესლე მეურნეობების ჩამოყალიბებაში გამოიხატება. ყველა ფერმერმა იცის, რომ ხარისხიანი თესლი კარგი მოსავლის გარანტია. აქტიურად ვთანამშრომლობთ დასავლეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთი გამოცდილების გაზიარებასთან ერთად ინვესტიციებითაც გვეხმარებიან.

გრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. გზებთან ერთად სოფლებში ახალი წყალმომარაგების სისტემა მონტაჟდება, შენდება ქარხნები, რაც ახლო მომავალში ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის, დასაქმების პერსპექტივა კი ქალაქიდან რეგიონებში უკან დააბრუნებს მოსახლეობას და მიგრაციის დონესაც მნიშვნელოვნად შეამცირებს. ხელისუფლების პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვაა. სწორედ ამ მიზნით გაუქმდა საბავშვო ბაღებში გადასახადი და მას ბიუჯეტი იხდის. კვლავ დიდი ყურადღება ექცევა განათლებას და მომავალი თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ განათლებული და სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი თაობა იქნება ჩვენი ქვეყნის ღირსეული მემკვიდრე.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით, 2015 წელი თქვენი სურვილების და ოცნებების ახდენის წელი ყოფილიყოს!

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
კახეთის გუბერნატორი

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს!

2014 წელი ნაყოფიერი იყო დედოფლისწყაროსათვის, ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, აშენდა ხორცკომბინატის ახალი საწარმო, მოხდა წყალგაყვანილობის ახალი სისტემების დამონტაჟება, დაიგო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზებს, სკოლებს, ბაგა-ბაღებს. დედოფლისწყაროში 17 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, აქედან 16 არის სრულად ან ნაწილობრივ რეაბილიტირებული და ამ ბაღებში არის საუკეთესო პირობები შექმნილი ჩვენი შვილების ღირსეული აღზრდისათვის. ასევე ვცდილობთ, პედაგოგებსაც შევუქმნათ ღირსეული პირობები.

დედოფლისწყაროში წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა.2014 წელს, გვალვის მიუხედავად, რთველის წარმატებით ჩატარებამ სტიმული მისცა მევენახეებს, რომ მიწასთან გააგრძელოს მუშაობა, გააგრძელოს ვენახის მოვლა და ამისი დასტურია ის, რომ დედოფლისწყაროში 210 ჰა ახალი ვენახი შენდება წელს.ვფიქრობ, ყველაფერი ეს ერთად აღებული- ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის მეურნეობის სტიმულირება, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, როგორც მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამით, ისე რთველის ორგანიზებულად ჩატარებით, ნელ-ნელა გაუმჯობესებს ჩვენს რაიონში სოციალურ მდგომარეობას.

დედოფლისწყაროს მომავალ წელს საავადმყოფოს ახალი შენობა ექნება. ახალ შენობასთან ერთად გვეყოლება მედიკოსების პროფესიონალთა გუნდი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხიან ზრუნვას და დედოფლისწყაროელებს აღარ მოუწევთ სხვაგან წასვლა. 2014 წელს დედოფლისწყაროსთვის მოხდა სასწრაფო-სამედიცინო მანქანების ავტოპარკის სრული განახლება. ჩვენ მივიღეთ სამი სრულიად ახალი გერმანული წარმოების მაღალი გამავლობის სასწრაფო-სამედიცინო მანქანა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა გამოძახება დროულად შესრულდება და ტექნიკური მიზეზის გამო არ დაიკარგება ძვირფასი დრო, როდესაც თითოეული წუთი ადამიანის სიცოცხლისთვის გადამწყვეტია. ეს ფაქტორიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამედიცინო სერვისის ხარისხს დედოფლისწყაროში.

საქართველოს მსგავსად, დედოფლისწყაროსაც აწუხებს ბევრი პრობლემა, სოფლებში კვლავ დგას სასმელი წყლისა და ბუნებრივი აირის პრობლემა, რომელსაც უახლოეს პერიოდში მოვაგვარებთ. ჩვენი მიზანია, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ყველა მოქალაქისთვის, თუმცა ამისთვის გარკვეული დროა საჭირო.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით, 2015 წელი თქვენი სურვილების და ოცნებების ახდენის წელი ყოფილიყოს!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამემამულეებო, გილოცავთ ახალ 2015 წელს. გასული წელი წარმატებული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. უამრავი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.საქართველო ერთმნიშვნელოვნად დაადგა ეკონომიკური განვითარებისა და აღმშენებლობის გზას. დედოფლისწყაროში წლების განმავლობაში სასიკეთო არაფერი ხდებოდა,მაგრამ "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.არ დავიწყებ იმ პროექტების ჩამოთვლას,რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ უკანასკნელი ორი წლის-განმავლობაში განახორციელა,რადგან ყველაფერი ისედაც ნათელია. მესმის,რომ სიკეთემ ჯერაც ვერ შეაღწია ყველა ოჯახში,კიდევ ბევრია დასაპურებელი და ასაშენებელი,მაგრამ პირადად მე და ჩემი კოლეგები ძალისხმევას არ დავიშურებთ,რათა განვითარების ტემპები იყოს მაქსიმალურად სწრაფი და თითოეულმა მოქალაქემ თავი წარმატებული ქვეყნის წარმატებულ შვილად იგრძნოს. დედოფლისწყაროელებო, წინსვლა გრძელდება! მიგულეთ თქვენი საწუხარისა და სიხარულის თანამოზიარედ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2015 წელს.

პატივისცემით,
ალექსანდრე თამაზაშვილი,
პარლამენტის წევრი

ყველას გილოცავთ დამდეგ 2015 წელს. გისურვებთ მშვიდობას,წარმატებებსა კეთილდღეობას .

გასული წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც. ქვეყანაში ჩატარდა მართლაც დემოკრატიული და თავისუფალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ამით საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა დემოკრატიის გზაზე. ამ არჩევნებით დასრულდა ხელისუფლების გადმობარების თითქმის ორწლიანი ეტაპი და ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტის სათავეში კოალიცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პროფესიონალი და საქმეზე ორიენტირებული კადრები მოვიდნენ.

ხელისუფლებამ არსებითად შეცვალა პრიორიტეტები და მის მთავარ საზრუნავად თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა იქცა. ამასთან, დღევანდელი ადგილობრივი თვითმმართველობა უფრო გამჭვირვალე და სახალხო გახდა.

ჩვენი მთავარი გამოწვევა დედოფლისწყაროს რაიონის ეკონომიკური განვითარებაა, რათა შეიქმნას ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ყველა პირობა. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მომავალი წლისთვის იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ზონების ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ასევე ჩვენი რაიონის ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს. დაგეგმილია სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც, რომელთაც ეტაპობრივად გაცნობებთ.

ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვა და ნიჭიერი ახალგაზრდების გვერდში დგომაა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ უკვე არაერთ წარმატებულ ახალგაზრდას გაუწია თანადგომა და, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ გარკვეული მატერიალური დახმარებაც გაუწია. ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენასა და მათზე ზრუნვას მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ.

ძალიან კარგად მესმის,რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ყველა ჩვენს თანამემამულეს ცხოვრების ღირსეული პირობები შევუქმნათ. კომპეტენციის ფარგლებში, ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ პროცესი შეუქცევადი გახდეს და განვითარების ტემპები მაქსიმალურად სწრაფი იყოს, რათა თითოეული თქვენგანის ოჯახს რაც შეიძლება მოკლე დროში შეეხოს ის რეფორმები,რასაც მთავრობა ახორციელებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ 2015 წელს. ბედნიერებას, ჯანის სიმრთელეს, ხვავსა და ბარაქას გისურვებთ, ძვირფასო დედოფლისწყაროელებო.

ზვიად ჯაფარიძე,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2015 წელი გასილებით ნაყოფიერი იქნება...

გვ.3-5

ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და ზრუნვა გაგრძელდება...

გვ.2

საახალწლო კონცერტი და წლის სპორტსმენები

გვ.2

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი"

2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის" პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი" ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი" – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და ზრუნვა გაგრძელდება...

– ბატონო ზვიად, როგორ შეაფასებდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობას, როგორი იყო 2014 წელი ჩვენი რაიონისთვის?

– 2014 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო, თუმცა, მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს საკრებულომ მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეფექტურად... ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე ორიენტირებულმა ფინანსური სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აღმავლობისთვის, რითიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენს რაიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება. ამიტომ, 2015 წელს მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და ორიენტირებულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოციალური პროგრამების გაუმჯობესებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობაზე.

– ახლახან დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, რა არის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტი?

– 2014 წელს ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით დაფინანსდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შიდა გზების, წყალსადენი ქსელის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, ასევე, ურბანული ტერიტორიის მოწყობა.

როგორც ვთქვი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია დედოფლისწყაროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გაგრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციაც, წყალმომარაგების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რემონტი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და გარე განათების სისტემის მოწყობა. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილობრივი დასუფთავება, სერიოზული ყურადღება ამ მხრივ მიექცევა სოფლებში ნაგვის გატანის საკითხის დარეგულირებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სოფლების გაზიფიცირება. 2015 წელს ქედების ზონაში დაგეგმილია ბუნებრივი აირის შეყვანა, რაც ამ სოფლებში გათბობის პრობლემას მოხსნის. მოგეხსენებათ, შეშით უზრუნველყოფის საკითხი საკმაოდ ძვირი და მტკივნეული თემაა. დედოფლისწყაროში ტყის არაგეგმიურმა გაჩეხვამ რაიონი მწვანე საფარის გაჩანაგებამდე მიიყვანა. ვფიქრობთ, სოფლების გაზიფიცირება ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც სასიკეთოდ აისახება.

სკოლამდელ განათლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობის სწორად განვითარებისათვის. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მათი საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა, ასევე მინი სპორტული მოედნების მოწყობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ჩვენთვის უმთავრესია. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებისა და შეღავათების უზრუნველყოფას.

– თქვენ აქტიურად ზრუნავთ ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისებაზე, ამას მოწმობს საკრებულოს მიერ წარმატებული სპორტსმენებისა და პოეტის დაჯილდოება. მომავალშიც გაგრძელდება თუ არა ეს პროექტები?

– დიახ, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვა და ნიჭიერი ახალგაზრდების გვერდში დგომაა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ უკვე არაერთ წარმატებულ ახალგაზრდას გაუწია თანადგომა და, შესაძლებლობის ფარგლებში, მატერიალურადაც დაეხმარა. ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათზე ზრუნვა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

2015 შესაძლოა ქალთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდეს

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი მოქალაქეთა მომართვიანობის თვალსაზრისით ლიდერი კომიტეტია, - ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომელიც კომიტეტის მიერ განეული საქმიანობის ანგარიშს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და უფლებადამცველებს აბარებს. ღონისძიებაში მონაწილეობდა სახალხო დამცველი.

ეკა ბესელიას განცხადებით, მიმდინარე წლის განმავლობაში კომიტეტემა 11 300-ზე მეტი განცხადება განიხილა. მომზადდა 141 დასკვნა.

„მიმდინარე წელი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით პროგრესული იყო, არის სიახლეები აღმასრულებელი უწყებების საპარლამენტო კონტროლის კუთხით და მთავრობის ანგარიშვალდებულების მიმართულებით. არის გამოწვევებიც და მომავალი წლის პრიოროტეტი იქნება კომიტეტის მუშაობის გაძლიერება სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით, იგეგმება მართლმსაჯულების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირება, რაშიც კომიტეტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს", - განაცხადა ეკა ბესელიამ.

კომიტეტი გამოდის ინიციატივით, რომ 2015 წლის ქალთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდეს.

ომბუდსმენი წლის ყველაზე დიდ პრობლემად ქალთა მიმართ ძალადობას ასახელებს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ადამიანის უფლებათა სფეროში 2014 წელს წარმოჩენილ ყველაზე დიდ პრობლემად ქალთა მიმართ ძალადობას ასახელებს.

როგორც ნანუაშვილმა განაცხადა, ქალთა წინააღმდეგ მიმართულმა ძალადობამ 2014 წელს ტენდენციის სახე მიიღო. მისივე თქმით, ადგილი ჰქონდა საპატიმრო დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებს და მათზე არასათანადო რეაგირებას საგამოძიებო ორგანოების მხრიდან.

ნანუაშვილი რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებზეც ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევებს ძირითად მუსლიმი თემის მიმართ ჰქონდა ადგილი.

სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთ შემთხვევებზე სახელისუფლო ორგანოების მხრიდან არასათანადო რეაგირებას ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, უჩა ნანიაშვილი 2014 წლის პრობლემად ასახელებს საჯარო სექტორში განხორციელებულ გათავისუფლებებს.

"ეს ყველაფერი ის ძირითადი პრობლემებია, რომლებიც 2014 წელს ტენდენციის სახით გამოიკვეთა", - აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

საახალწლო კონცერტი და წლის სპორტსმენები

დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, ნაძვისხესთან კულტურის ცენტრის ორგანიზებით გრანდიოზული საახალწლო კონცერტი გაიმართა, სადაც ცნობილი მომღერლები მონაწილეობდნენ. გალა კონცერტი სტუდია „არლეკინოს" ბავშვებმა გახსნეს, შემდეგ კი ერთმანეთის თანმიმდევრულად სცენაზე ავიდნენ ნინი ბადურაშვილი, ანრი ჯოხაძე, გიორგი სუხიტაშვილი, სალომე ბაკურაძე და ნათია დუმბაძე. იგეგმებოდა ნოდიკო ტატიშვილის ჩამოსვლაც, თუმცა იმის გამო, რომ ფინალში გადავიდა, კონვცერტში მონაწილეობის მიღება ვეღარ მოახერხა.

როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა ნონა ჯიბღაშვილმა „შირაქს" განუცხადა, ამ და სხვა საახალწლო ღონისძიებებზე დედოფლისწყაროში 13 000 ლარამდე დაიხარჯა. ცენტრალური გალა კონცერტის საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების მოგვარებაში ჯიბღაშვილების ოჯახი იყო ჩართული.

კონცერტზე ნაჩვენები იყო პრაღაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, რომელიც დედოფლისწყაროელი სპორტსმენების გამარჯვებებს ასახავს. ფილმის დასრულების შემდეგ კი დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილმა მაყურებელს შობა ახალი წელი მიულოცეს და ყველაფერი საუკეთესო უსურვეს. მოგვიანებით კი წლის სპორტსმენები გამოავლინეს.

წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი — მარიამ ჯანაშვილი

წლის საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცი — ხვიჩა ქოქუაშვილი

წლის საუკეთესო მწვრთნელი — თამაზ ყარაგვეზაშვილი

ცლის 22„კიდევ ერთხელ მივულოცეთ და მადლობის სიგელები გადავეცით ჩვენს სპორტსმენებს. შევეცადეთ ჩვენი მხარდაჭერა გამოგვეხატა და ოდნავ მაინც წაგვეხალისებინა ისინი. რათა, მათი გამარჯვებები მისაბაძი და სტიმულის მიმცემი აღმოჩნდეს დანარჩენი ახალგაზრდებისთვის და 2015 წელი უფრო წარმატებული აღმოჩნდეს," — აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ამ სპორტსმენების გარდა, სცენაზე მიიპატიჟეს და მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს პრაღაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებული სპორტსმენები: ვალერი ვაჭრიძე, არსენა ყარაგვეზაშვილი, გიორგი ნიკლაური, შალვა ხოსიტაშვილი, ლევან წიკლაური, დავით ქადაგიძე და ნუგზარ ყარაგვეზაშვილი.

კონცერტი ფეიერვერკით დასრულდა.

ილია მარტყოფლიშვილი

2015 წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება...

მიიწურა 2014 წელი. რა მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ეს წელი დედოფლისწყაროში, რისი გაკეთება სურდა ხელისუფლებას, როგორია გაკეთებული საქმეების ქრონიკა, რაზე სწყდება გული, რისი გაკეთება ვერ მოასწრო და როგორია 2015 წლის პერსპექტივა, ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გვესაუბრება:

- ბატონო ნიკოლოზ, 2014 წელს უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, მაგრამ ამის მიუხედავად, პრობლემები მაინც რჩება მუნიციპალიტეტში. მაგალითად, წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ზაფხულის პერიოდში, როცა გვალვის დროს დებეტი არ ყოფნიდა მოსახლეობას. რას გეგმავთ წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით 2015 წელს?

-2014 წელი წელი, მართლაც, საკმაოდ მძიმე წელი იყო ჩვენთან წყალმომარაგების მხრივ, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ეს გამოწვეული იყო უპრეცედენტო გვალვით, რომელიც თვით დედოფლისწყაროსთვისაც კი მოულოდნელი იყო და როგორც სინოპტიკოსები აღნიშნავენ, ბოლო 61 წელია, ასეთი გვალვები არ ყოფილა. მაგრამ ყველა მოვლენას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. ამ გვალვებმა გამოავლინა ზუსტად ის სუსტი წერტილები და მოგვცა იმისი საშუალება, რომ ვიზრუნოთ და მომავალში ანალოგიური გვალვის შემთხვევაში აღარ განმეორდეს ასეთი მძიმე მდგომარეობა. ჩვენ წელსვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი გახლავთ სოფელ ზემო მაჩხაანის წყალმომარაგება. მთავრობიდან წამოსულ თანხებთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების მობილიზებით ძალიან დიდი სამუშაო გავწიეთ.ჯამური ოდენობა თითქმის 800000 ლარს აღწევს. გავაკეთეთ სრულიად ახალი ხაზის გაყვანა ზემო მაჩხაანისთვის. ე.წ. გედიქიდან ზემო მაჩხაანის რეზერვუარამდე. მოვახდინოთ მაჩხაანში არსებული 2 რეზერვუარის კაპიტალური რემონტი და შიდა ქსელის აწყობა, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ წელსვე, სულ რამდენიმე დღეში, სოფელს ახალი სისტემით მიეწოდება წყალი. სისტემის რეაბილიტაცია ორი ათეულ ი წლის მანძილზე დაგროვილ პრობლემას საბოლოოდ მოაგვარებს მაჩხაანში და მომავალი წლის ზაფხულს სოფელი წყლის პრობლემების გარეშე შეხვდება. ასევე ქედების ზონაში, სადაც წყალი გადაუჭრელ პრობლემად მიიჩნეოდა, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან პირველ წელსვე დაიწყო გარკვეული სამუშაოები, მოხდა შიდა ქსელების მოწყობა. ამ ზაფხულს გვალვებმა გამოაჩინა პრობლემები, რომლის გადაჭრისთვის ჩვენ უკვე მომავალი წლის ბიუჯეტში გავითვალისწინეთ თანხები. სოფლებში: ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში წყალსაქაჩზე სარეზერვო ტუმბოს მოწყობა იგეგმება, რომელიც ხალხს წყალს მიაწვდის წნევით და გვალვის პერიოდში, როცა წყალზე მოთხოვნაა გაზრდილი, არ მოხდება ნაწილი უბნების გამოტოვება. გარდა ამისა, მიმდინარეობს ქსელის რეაბილიტაცია და გამოტოვებული უბნების წყალმომარაგებაშიც, აგრეთვე, ინჟინრებთან ერთად ჩვენ შევისწავლეთ ქედების ზონა და ინჟინრებთან ერთად აღმოვაჩინეთ ის სუსტი წერტილები, სადაც წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია მოხდება და ყოველივე ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მომავალ წელს ჩვენ შევხვდებით უფრო წელგამართული და ნაკლები პრობლემებით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქედების ზონა, რომელიც ტრადიციულად პრობლემური იყო, წელს სოფელში არხილოსკალოში, გვალვის მიუხედავად, მაინც 24 საათიანი წყალმომარაგება გვქონდა და მხოლოდ ერთი უბანი იყო გამოტოვებული, მომავალი წლიდან ამ უბანსაც მიეწოდება წყალი.

რაც შეეხება ქ. დედოფლისწყაროს, ზაფხულში წყლის დებეტმა ძალიან დაიკლო, ეს იმ ფონზე, როცა ჩვენ გავზარდეთ აბონენტთა რაოდენობა. წლევანდელმა წელმა დაგვანახა წყლის დებეტის პრობლემები, ამასთან დაკავშირებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. ელიის ძირას მოვიძიეთ ახალი ალტერნატიული წყაროები, მოვახდინეთ საცდელი გაბურღვა, არის აქ წყალი და გაზაფხულამდე, სანამ სიცხე პიკს მიაღწევს, იგეგმება სატუმბი სადგურის მოწყობა და მილსადენის მოწყობა იმისთვის, რომ ალტერნატიული წყარო დაემატოს ცენტრალურ რეზერვუარს და გაიზარდოს დედოფლისწყაროში წყლის დებეტი.



როგორც ხედავთ, მომავალი წლისთვის საკმაოდ დიდი თანხებია გამოყოფილი წყლის მიწოდების გაუმჯობესებისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, სოფელ არბოშიკის წყლით მომარაგების საკითხი. ჩვენ ვგეგმავთ, რომ 600 000 ლარზე მეტი დავხარჯოთ და როგორც მაჩხაანში გაკეთდა, იდენტური პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ არბოშიკშიც. ეს იქნება ერთ-ერთი გრანდიოზული პროექტი, რომელიც წყალთან დაკავშირებულ სირთულეებს აღმოფხვრის ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს რაიონში.

- ჩვენი რაიონისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საავადმყოფოს საკითხი. როგორც იცით,დედოფლისწყაროს მოსახლეობა მის გარეშეა დარჩენილი და პაციენტებს სხვა რაიონებსა თუ თბილისში უხდებათ წასვლა, რაც დამატებით ფინანსურ პრობლემებს უქმნით მათ. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, პროექტი უკვე მზადაა. როდის ექნება დედოფლისწყაროს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფო?

- მოგეხსენებათ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში დედოფლისწყარო დარჩა საავადმყოფოს და პოლიკლინიკის, გამოცდილი მედპერსონალი კი სამუშაოს გარეშე. ახლა საკმაოდ გრანდიოზული პროექტის განხორციელება იწყება იანვრიდან. საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის დიდი ძალისხმევით დედოფლისწყაროს ერთ წელიწადში ახალი საავადმყოფო ექნება. ქალაქის ცენტრში, ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, აშენდება 25 საწოლიანი მრავალფუნქციური სავადმყოფო, რომელშიც გაერთიანდება როგორც სტაციონარი, ასევე პოლიკლინიკა, რაც გაუადვილებს და საბოლოოდ მოუხსნის ჩვენს მოსახლეობას ექიმთან ვიზიტის პრობლემას. დღეს ხდება ასე- ადამიანი მიდის ექიმთან პოლიკლინიკაში, ზოგჯერ სჭირდება წასვლა სავადმყოფოში, შემდეგ ისევ უკან დაბრუნება... ეს ერთგვარი დისკომფორტია. ახალი საავადმყოფოს პირობებში კი ასეთი რამ გამოირიცხება-ახალ თანამედროვე შენობაში ყველაფერი იქნება ერთ სივრცეში,სადაც გათვალისწინებულია თანამედროვე მედიცინის ყველა მოთხოვნა. ეს შეეხება პალატების მოწყობას, საოპერაციო ბლოკს თუ მედპერსონალს. დამეთანხმებით, რომ ახალი საავადმყოფო მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამედიცინო სერვისს დედოფლისწყაროში. გარდა იმისა, რომ ჩვენ მომავალი წლის ბოლოს გვექნება საავადმყოფოსახალი შენობა, ჩვენ დღესვე დავიწყეთ ზრუნვა და ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად მედპერსონალის გადამზადებაზე. რადგან მხოლოდ შენობა და აპარატურა არ არის გარანტი იმისა, რომ მივიღოთ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება. წელს უკვე დაიწყო მედდების გადამზადება, გაზაფხულიდან კი ექიმების გადამზადება იგეგმება. ხოლო რაც შეეხება იმ სამედიცინო პერსონალს, რომლებიც საავადმყოფოს არქონის გამო რაიონს აღარ ჰყავს, მათი მოზიდვა მოხდება სხვა საავადმყოფოებიდან და კლინიკებიდან. და ჩვენ ახალ შენობასთან ერთად გვეყოლება მაღალი კლასის პროფესიონალთა გუნდი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხიან ზრუნვას და დედოფლისწყაროელებს აღარ მოუწევთ სხვაგან წასვლა. ეს ერთი, მეორე, რაც შეეხება სამედიცინო სერვისებს-მოგეხსენებათ, რომ წლის ბოლოსთვის 2014 წელს დედოფლისწყაროსთვის მოხდა სასწრაფო-სამედიცინო მანქანების ავტოპარკის სრული განახლება. ჩვენ მივიღეთ სამი სრულიად ახალი გერმანული წარმოების მაღალი გამავლობის სასწრაფო-სამედიცინო მანქანა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა გამოძახება დროულად შესრულდება და ტექნიკური მიზეზის გამო არ დაიკარგება ძვირფასი დრო, როდესაც თითოეული წუთი ადამიანის სიცოცხლისთვის გადამწყვეტია. ეს ფაქტორიც გააუმჯობესებს სამედიცინო სერვისის მდგომარეობას. აგრეთვე იცით თქვენ, რომ დედოფლისწყარო თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდ ფართობზეა გაშლილი. ქედების ზონაში გვყავს სამედიცინო ბრიგადა, რომელიც არ იმყოფებოდა სათანადო პირობებში. წელს მოხდა მათი შენობის გადაცემა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურისთვის, ჩვენ მუნიციპალიტეტის სახსრებით დავეხმარეთ მათ პირობების გაუმჯობესებაში. ამიერიდან ექიმებსაც უკეთესი პირობები შეექმნებათ, გარემონტდება შენობა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ გაცილებით უკეთეს სერვისს შესთავაზებენ მოსახლეობას. და ყველაზე მნიშვნელოვანი-თქვენ აღნიშნეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში არაერთმა დედოფლისწყაროელმა ისარგებლა და დრო, როდესაც ავადმყოფობა ზოგჯერ სიკვდილს ნიშნავდა, წარსულს ჩაბარდა. არაერთმა ჩვენმა მოქალაქემ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიიღო სამედიცინო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ზოგჯერ 100- პროცენტიან, ზოგ შემთხვევაში კი 70 -პროცენტიან დაფინანსებას. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი მიღწევაა ჩვენი ხელისუფლების, განსაკუთრებით იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა ამდენი გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ჰყავს საქართველოს.

- თქვენ ახლახანს აღნიშნეთ, რომ მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევისა, ქვეყანაში კვლავ რჩება ბევრი პრობლემა და უამრავი სოციალურად დაუცველი ადამიანი. რა იგეგმება დედოფლისწყაროში სოციალურად დაუცველი ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით?

- ჩვენ რაიონში ფუნქციონირებს "სათნოების სახლი", სადაც სოციალურად დაუცველი ადამიანები კვებით უზრუნველყოფილნი არიან. დაწესებულებას დედოფლისწყაროს ბიუჯეტი აფინანსებს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კახეთის მასშტაბით აქ ყველაზე კარგი პირობებია და ჩვენს მიერ შედგენილი კვების რაციონი ყველაზე კარგია. ეს ასე გაგრძელდება და სათნოების სახლი კვლავ მოემსახურება სოციალურად დაუცველ ადამიანებს. დაწესებულებას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, რომელიც საკმაოდ ენერგიულად შეუდგა საქმეს და აღმოიფხვრა ის ხარვეზებიც, რაც მანამდე იყო. დღეს იქ ისეთი სიტუაციაა, რომ სათნოების სახლში სიარული ღირსების შემლახველი აღარ არის არავისთვის. ეს ის ხალხია, რომელთაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს თავის დროზე ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში და მე ვფიქრობ, რომ სათანადოდ უნდა დავაფასოთ ეს ადამიანები. სამწუხაროდ, სოციალურად დაუცველი ადამიანი კვლავ საკმაოდ ბევრია. სოციალური პაკეტის გაუმჯობესება კარგია, მაგრამ არა საკმარისი. მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება ადამინისთვის თევზის მიწოდება და არა ანკესის, რათა მან შეძლოს თევზის თავისით მოპოვება. თუნდაც ის მსხვილი პროექტები, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მაგალითად, საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც ერთ წელიწადს გაგრძელდება, აუცილებლად დაასაქმებს ადგილობრივ მუშახელს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და სოციალურ ფონს გააუმჯობესებს, სოფელ არბოშიკში განსახორციელებელი წყალმომარაგების პროექტი, ჩვენ ვგეგმავთ 600 000 ლარის დახარჯვას, ესეც აუცილებლად ადგილობრივების დასაქმებას გამოიწვევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დასაქმების კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია ხორცკომბინატის საწარმოს გახსნა, რომელმაც 20-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები დაასაქმა. გარდა ამისა, ჩვენ ვგეგმავთ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ წყალმომარაგების, არამედ გზების რეაბილიტაციის, ახალი გზების მოასფალტების, მოხრეშვის, სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებს, რომლებიც ადგილობრივების დასაქმებას და მათი შემოსავლების გაზრდას შეუწყობს ხელს. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. და კიდევ ერთი მომენტი-დედოფლისწყარო, ისევე, როგორც კახეთი, არის აგრარული რაიონი და სოფლის მეურნეობაში საკმაოდ ბევრი ადამიანია დასაქმებული, მათ შორის სოციალურად დაუცველებიც. წლევანდელი წელი, მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობისთვის, საუბარი მაქვს "რთველი-2014"-ზე. როდესაც სახელმწიფოს სწორი მიდგომით, სახელმწიფოს სწორი სტრატეგიით, სახელმწიფოს მხრიდან ამ ბიზნესში, რასაც ღვინის წარმოება ჰქვია, ჩაურევლობით და, პირიქით, ხელის შეწყობით, იაფი კრედიტით, შტაბის გამართული მუშაობით, რაშიც აქტიურად იყო ჩართული კახეთის გუბერნია, დედოფლისწყაროს გამგეობა და მოგეხსენებათ, რთველი პირველად ჩვენთან დაიწყო და მეც საკმაოდ აქტიურად ვიყავი ჩართული, მოხდა ისეთი რამ, რაც დედოფლისწყაროს ისტორიას დამოუკიდებლობის პერიოდში არ ახსოვს. წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ფასები ყურძენზე. გლეხს, რომელსაც მოლოდინი ჰქონდა, რომ 1 კგ. ყურძენს 1ლარად გაჰყიდიდა, მას 2 ლარი და მეტი გადაუხადეს. რთველის სწორად ჩატარებამ გამოიწვია ის, რომ დედოფლისწყაროში

(გაგრძელება გვ.5)

დე, იყოს ფეხბედნიერი“

მოდის 2015 წელი და მიმავალი წლის მიწურულს ტრადიციულად საახალწლო ზეიმების ბუმია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლის ყველა კლასში, ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის ჯგუფში, მუსიკალურ სკოლაში, ვინ მოსთვლის რამდენი კონცერტი ჩატარდა მთელს რაიონში. ცხადია, ჩვენც, ჟურნალისტებიც ძალიან დატვირთულნი ვართ, ყველას სურს, რომ მათ ზეიმზე მივიდეთ, გავაშუქოთ და მათი სიხარული გავიზიაროთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა მათგანის ღონისძიებას ვერ ვესტუმრებით. ეს ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ რამდენადაც შეგვიძლია, ვცდილობთ, გავახაროთ ორგანიზატორთა გულები. ასე დაემთხვა, რომ წელს დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარებული არცერთი ღონისძიება არ გამოგვიტოვებია. ალბათ იმიტომ, რომ თითოეულ პედაგოგს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, მათი აღსაზრდელები საკადრისად წარმოგვედგინა ჩვენი მკითხველისთვის. ჩვენც ძალ-ღონე არ დავიშურეთ და თითოეული მათ მიერ ჩატარებული საახალწლო ღონისძიება გულისყურით შევაფასეთ.

დასაწყისშივე მინდა გითხრათ, რომ მართლაც ერთმანეთზე საუკეთესო ღონისძიებები გამართა თითოეულმა ჯგუფმა, რომელთა პედაგოგები მთელი გულით იღვწიან საუკეთესო თაობების აღზრდისთვის.

სცენა ულამაზესი ფერებითაა მორთული, ნაძვის ხეზე სათამაშოები ბრჭყვიალებს, კედლებიდან მულტფილმის და ზღაპრის გმირები შემოგვცინიან, ყველაფერი საზეიმო განწყობას ეხმიანება, მათ შორის დათოვლილი ხმელი წიფელიც. სცენას 5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები იპყრობენ. ესენი არიან: ნიკოლოზ არაბული, მიხეილ ალადაშვილი, გიორგი ალუღიშვილი, არინა ავალიანი, მარიამ გონაშვილი, ლიზი ვასილევი, გიორგი თეთრაული, გვანცა კობაიძე, მარიამ კუპატაძე, დავით მარტყოფლიშვილი, ანელი ნარუსლიშვილი, ანა პოპოვი, ელენე და ნუცა სესიტაშვილები, მარიამ შოშიაშვილი, ლალა ჩოფიკაშვილი, დავით ხუნაშვილი, ვალენტინა ხაჩატურიანი და გვანცა ქავთარაძე. მათი პედაგოგია ირმა ხუზაურაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე ელზა ბენაშვილი გახლავთ, ხოლო ძიძა მერი მოსეშვილი.

-„მალე ახალი წელი მოვა! რა კარგია, როგორ მიხარია! მეც ერთი სული მაქვს! თოვლის პაპა საჩუქარს მოგვიტანს! ნეტავ რას მაჩუქებს?“ -იმართება ბავშვებს შორის დიალოგი. შემდეგ კი შეგვაგონებენ, რომ „კაცი, რომელიც ახალი წლისგან არაფერს მოელის, გადაუწყვეტია იმედი, ყოველ მის საქმეს არა აქვს შნო და მის ქმედებას არ აქვს ლაზათი!“ დამეთანხმებით, გამბედავი და ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ, დიახაც ბავშვების ნათქვამი სწორი შეგონებაა! იმედი არასოდეს არ უნდა მოკლას კაცმა! ჩვენს პატარა აღსაზრდელებს უკვე შეუსწავლიათ ქართველების ტრადიციაც: „საქართველოში ახალ წელს საკუთარ ოჯახში, ოჯახის წევრებთან ერთად ხვდებიან, მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ. მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა და სიხარული მოუტანოს ახალმა წელმა.“-გადმოგვცემენ ზეიმის დასაწყისში პატარები, შემდეგ კი, „ალილოს“ და „მრავალჟამიერის“ ფონზე ლექსითაც „ჩაგვიკოკლოზინებენ პირს“:

„დაგვშორდა, თვალებს მოჰფარდა,
წელი აღსავსე შფოთვითა,
ნაცვლად, ნათელი იმედით,
ახალი წელი მოვიდა.
დე, იყოს ფეხბედნიერი
ამრავლოს ხვავი, ბარაქა,
სითბო, სიკეთე ეთესოს,
ყველგან სოფლად, თუ ქალაქად!“

მალე მეკვლე მობრძანდება ხონჩით და ხურჯინით ხელში და იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ წმინდა ბასილი, იმის მადლით იყავით პურით და ღვინით აღვსილნი, ჩემს ნაფეხურსა კვალი აჩნს წმინდისა ანგელოზისა, გლოცავდეთ, გფარავდეთ უფლის მარჯვენით რომ ზისა!“- ამბობს მეკვლე. შემდეგ სუფრის წევრი ქართველები ილოცებიან, ლოცავენ დამდეგ ახალ წელს, ნახეთ რა მამულიშვილური სურვილები აქვთ ჩვენს მომავლებს, შეხეთ, რა სიტყვებით ილოცებიან: „ღმერთო, მაღალო, შენ გაუნათე ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას ბედნიერი ახალი წელი, განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, დალოცე აკვანი, დალოცე სახლი ყოველი მშრომელის მზითა და სითბოთი!“

საახალწლო სუფრა სიმღერის გარეშე სად გაგონილა და სიმღერის ხმამაც არ დააყოვნა, ბავშვებმა ერთხმად იგალობეს „25 დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო“. ამ სიმღერას თოვლის პაპა მოჰყვება ლურჯი მთებიდან და ბავშვებთან დიდი, საჩუქრებით დახუნძლული მარხილი მოაქვს. თოვლის პაპა ისე, უბრალოდ როდის არიგებს საჩუქრებს, მას გულის მოგება უნდა, ამიტომაც გამოცანებს ეუბნება პატარებს, ვინც გამოიცნობს, ის საჩუქარს იღებს. ეს ერთგვარი სტიმულია, კარგად უნდა ისწავლონ და მოუსმინონ მასწავლებელს ყოველთვის, როდესაც ბევრი ცოდნა ექნებათ, თოვლის პაპაც საჩუქრებს არასდროს მოაკლებთ.

რა ლამაზი გამოცანაა: „თეთრმა სუფრამ მთელი სოფელი დაფარა!“ ამის პასუხი ცხადია, „თოვლი” გახლავთ, თოვლი, რომელმაც ასე მოგვანატრა თავი. ზეიმი სიმღერის ფონზე შუშხუნების ანთებით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი

„რეკავენ, რეკავენ ცისკრის ზარები!“

კვლავ საახალწლო ზეიმი გაიმართა დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაგა-ბაღში. ამჯერად 3-4 წლიანი ჯგუფის ბავშვებმა მშვენიერი წარმოდგენა მოგვიმზადეს. მათ პედაგოგს ქეთი გიგოლაშვილს, თანაშემწეს ეკა ნიკლაურს, მუსიკის პედაგოგს აზა ლაპიაშვილს და დამხმარეს ლალი ლაპიაშვილს ყველაფერი მოუმზადებიათ იმისთვის, რომ მისი ლამაზი ბავშვები საუკეთესოდ წარმოჩენილიყვნენ მაყურებლის წინაშე. პატარა, ყვითელ კაბებში გამოწყობილმა ვარიებმა და მელიის სამოსში ჩაცმულმა მელიებმა სიმღერის „საქათმეში შეპარული მელა” გახმოვანებით წარმოგვიდგინეს სცენარი, ხოლო სამმა „ვარდისფერმა გოჭმა” და „რუხმა მგელმა” ზღაპრის გმირების ნიფნიფის, ნუფნუფის, ნაფნაფის და მგელის თავგადასავალი გააცოცხლეს სცენაზე. ბავშვებმა შეასრულეს ცეკვები, იმღერეს თოვლის ფიფქებზე და წარმოთქვეს საახალწლო განწყობის ლექსები.

„თოვლის ნამცეცა ფიფქები,
ყინვის ალერსით ვალმასობთ,
ციდან იმიტომ ვეშვებით
ზამთარი გაგილამაზოთ!”- ამბობს კესარია გოგაშვილი.

ღონისძიებას ჰყავდა წითელქუდაც, რომელიც ბებიასთან მიმავალი ტყეში მარტო დაიკარგა და მგელს გადაეყარა. ლამაზმა წითელქუდამ შეძლო მგლის მოხიბვლა, მან სიმღერა შეუსრულა რუხ მგელს და ამით მისი გული მოიგო: „წითელი ქუდი მახურავს”...

დასასრულს მათთან თოვლის პაპა მოვიდა, რომელსაც საჩუქრებით სავსე ხურჯინი ჰქონდა ზურგზე მოგდებული. თოვლის პაპის გამოჩენამ ბავშვები ისე გაახალისა, რომ საკუთარი სასცენო ნომრები ხელახლა შეასრულეს. თოვლის პაპა კი, ისე მოიხიბლა პაწია ბავშვების ხილვით, რომ სურვილი გამოთქვა, მათთან ერთად ეცეკვა. ბავშვებმა ესიც დიდი სიამოვნებით შეასრულეს, სანაცვლოდ კი მშვენიერი საჩუქრები მიიღეს მისგან, რომლის როლსაც მათივე საბავშვო ბაღის დირექტორი მაია გაგნიაშვილი ასრულებდა. ქალბატონმა მაიამ, თოვლის პაპის სამოსში გამოწყობილმა, დალოცა პატარა აღსაზრდელები, კარგად სწავლა, მასწავლებლის, მშობლის მიმართ ყურადღება, უამრავი სიხარული და მშობლების სიყვარული უსურვა მათ. დასასრულს ყველამ ერთად იმღერა საშობაო სიმღერა „ალილო”.

„გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, ხვავის, ბარაქის, თქვენს ოჯახებში ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ეს წელი, მართალია, ჯერ პატარები ხართ და სათანადოდ ვერ შეძელით თქვენი გრძნობების ამ სცენაზე გამოხატვა, მაგრამ გაიზრდებით და მე მჯერა, რომ უკეთესად იცეკვებთ და იმღერებთ. მრავალ ახალ წელს ბავშვებო!” -ასე დალოცა თავისი აღსაზრდელები პედაგოგმა ქეთი გიგოლაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

იმავე დღეებში, ქალაქ დედოფლისწყაროს N2 ბაგა-ბაღში კიდევ რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა, ამჯერად სცენა 5-6 წლიან აღსაზრდელებს დაეთმოთ. დარბაზში გემოვნებითაა შერჩეული საახალწლო დეკორაციები. ჭერიდან ეშვებიან ლამაზი, თეთრი, ქათქათა ფიფქები და ბალერინები, ირგვლივ საკარნავალო განწყობაა შექმნილი. დარბაზის კედლებიდან შემოგვცქერიან კურდღლები და ბაჭიები, რომლებიც დათოვლილი ხის გასწვრივ დასკუპებულან. აი, გაისმა სასიამოვნო მუსიკის ხმა და მუსიკის მასწავლებელმა აზა ლაპიაშვილმა 5-6 წლიანთა ასაკის ბავშვები იხმო (აღმზრდელი თამარ ლომსაძე, თანაშემწე მარინა ჯორკოშვილი, დამხმარე ირინე კიკილაშვილი) მუსიკის ფონზე თეთრი, ფუშფუშა თაიგულებით შემოცქრიალდნენ ულამაზეს ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ილია ტოკლიკიშვილი, ხოლო ზუბიაშვილმა და ღვედაშვილმა ლექსები შესათავაზეს მაყურებელს. ლექსს ცეკვა შეენაცვლა, ცეკვას სიმღერა. ნაძვისხის გარშემო გაისმა პატარების მხატვრულად ნათქვამი ლექსები ზამთარსა და ახალ წელზე. (მ. ნატროშვილი, გ. ქადაგიძე, თ. მაჩაბლიშვილი, ი. გიგოლაშვილი)

„ლამაზი ფიფქები ცვივიან ძირს“ მღერიან ბავშვები და სასიამოვნო მელოდია ეფინება გარემოს. დემეტრეს საქართველოზე მოუმზადებია ლექსი, ხოლო პედაგოგი თამარ ლომსაძე შობის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახებ უყვება ბავშვებს. კვლავ გაისმა სიმღერის ხმა და ბავშვებმა ლამაზი სიმღერა დააგუგუნეს, რომელიც შობის დღესასწაულს მიეძღვნა. ახალი წლის შემობრძანებას ლექსებით გამოხატავენ (ა. ყაზარაშვილი, თ. ყაზარაშვილი და მ. ყორიაშვილი) ულამაზეს ლექსებს უძღვნიან ახალ წელს, ბავშვებმა უხმეს თოვლის პაპას, (სანტა კლაუსის ფორმაში კვლავ ამავე ბაღის დირექტორი მაია გაგნიაშვილი გახლდათ) რომელიც საჩუქრებით სავსე გუდით შემოვიდა. სალომე იაკობიშვილმა ლექსები უთხრა თოვლის პაპას. თოვლის პაპამ კი, ბავშვებს სახალისო შეჯიბრი მოუწყო. ვინც გამოცანები გამოიცნო, ის ბავშვები მიიწვია და მუსიკის ფონზე მშვენიერი შეჯიბრი გაიმართა. გამარჯვებულად ი. ტოკლიკიშვილი გამოვლინდა. ზეიმის ბოლოს ბავშვებმა კახური „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს, ხოლო თოვლის პაპამ მათ საჩუქრები გადასცა. თოვლის პაპამ და ჯგუფის აღმზრდელმა თამარ ლომსაძემ ბავშვებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს დამდეგი ახალი წელი და ყოველივე საუკეთესო უსურვეს.

• • • •

2015 წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება...

(მესამე გვერდიდან)

მხოლოდ ჩვენს რაიონში შემოვიდა 4მილიონზე მეტი, გვალვის პირობებში, როცა ვენახების ნაწილი დაგვიზიანდა. **რთველის წარმატებით ჩატარებამ სტიმული მისცა მევენახეებს, რომ მიწასთან გააგრძელოს მუშაობა, გააგრძელოს ვენახის მოვლა და ამისი დასტურია ის, რომ დედოფლისწყაროში 210 ჰა ახალი ვენახი შენდება წელს.**

ვფიქრობ, ყველაფერი ეს ერთად აღებული - ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის მეურნეობის სტიმულირება, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, როგორც მცირემინიან ფერმერთა დახმარების პროგრამით, ისე რთველის ორგანიზებულად ჩატარებით, ნელ-ნელა გააუმჯობესებს ჩვენს რაიონში სოციალურ მდგომარეობას.

- დედოფლისწყაროში, როდესაც მოსახლეობას დენისა და ბუნებრივი აირის გარეშე უწევდა ყოფნა, გათბობის ალტერნატიულ საშუალებად შეშა რჩებოდა. ამ ფაქტორის გამო რაიონში ტყის მასივი გაიჩეხა, ასევე განადგურდა ქარსაფარი ზოლებიც. ქალაქ დედოფლისწყაროში გაზმომარაგება აღდგა, მაგრამ სოფლებში ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად შეშის საკითხი ფინანსური თვალსაზრისითაც უამრავ სირთულეს ქმნის. იგეგმება თუ არა გაზიფიცირება დედოფლისწყაროს სოფლებში?

- ჩვენი რაიონისთვის ძალიან მნიშვნელოვან თემას შეეხეთ .ტყის ფონდი, ფაქტიურად, აღარ არსებობს. ჩვენ ვსაუბრობთ გაუდაბნოების პროცესზე, რომელიც მწვანე საფარის მასიური განადგურების შედეგადაა გამოწვეული, ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გაზიფიცირება. განსაკუთრებით ეს ეხება ქედების ზონას, სადაც 6 სოფელია და მათი მოსახლეობისთვის ეს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ პრობლემებთან ასოცირდება. მე მინდა გავახმაურო სასიამოვნო ინფორმაცია- მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული პრობლემის შესახებ კარგადაა ინფორმირებული და გული შესტკივა როგორც ქვეყნის მეთაურს, ასევე კახეთის გუბერნატორს, რომელიც ძალიან აქტიურად იყო ჩართული ამ პრობლემის მოგვარებაში. უნდა ვთქვა, რომ ეს პრობლემა მკვდარი წერტილიდან დაიძრა და, რამდენადაც ვიცი, კახეთის გუბერნატორის აქტიური მეცადინეობით, აღნიშნული საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი და 2015 წლის გაზაფხულიდან დაიწყება ქედების ზონის გაზიფიცირება. გარდა ამისა, არის სხვა სოფლები, რომლებიც გაზიფიცირების გარეშე იყვნენ დარჩენილნი- თავწყარო, ჭოეთი, აგრეთვე სოფელ გამარჯვებაში გვაქვს გამოტოვებული უბანი. 2015 წლის სამოქმედო გეგმაში უკვე ჩადებულია ამ სოფლების გაზიფიცირებაც.

ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ 2015 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასავლეთი ნაწილი სრულად იქნება გაზიფიცირებული, ხოლო რაც შეეხება ქედების ზონას, ანუ აღმოსავლეთის ნაწილს, ეს პროცესი დაიწყება და, დიდი ალბათობით, დამთავრდება კიდეც. ეს იქნება ძალიან კარგი, ზოგისთვის დაუჯერებელი პროექტიც.

მე მიხარია, რომ ჩვენს ხელისუფლებას შესწევს ძალა, განახორციელოს დაუჯერებელი პროექტებიც კი და იზრუნოს მოსახლეობაზე.

- მომავალი თაობის აღზრდა ყველა ხელისუფლების პრიორიტეტი უნდა იყოს. რას აკეთებს და რა გეგმები აქვს დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელმძღვანელობას ამ მიმართულებით, ამ კითხვის დასმის საფუძველს მაძლევს თქვენი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილება, რომელმაც დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი ორად გაყო და ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური ცალკე ერთეულად ჩამოაყალიბა?

- მადლობა ამ შეკითხვისთვის, ეს ჩემთვის ძალიან საყვარელი თემაა, იმიტომ რომ, ნამდვილად გვაქვს წინ გადადგმული ნაბიჯები. მოგეხსენებათ, ადამიანის განვითარება დაბალი საფეხურიდან იწყება, ანუ საბავშვო ბაღებიდან. ჩვენი გუბერნატორის გამგებლობის პერიოდში, დედოფლისწყარო იყო პირველი რაიონი საქართველოში, სადაც ბაღებში მოიხსნა გადასახადი და მშობლების ნაცვლად ამ თანხას ბიუჯეტი იხდის. ლაპარაკია არა მხოლოდ გადასახადის მოხსნაზე, არამედ მართლაც ღირსეული პირობების შექმნაზე ბაღებში. დედოფლისწყარში 17 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, აქედან 16 არის სრულად ან ნაწილობრივ რეაბილიტირებული და ამ ბაღებში არის საუკეთესო პირობები შექმნილი ჩვენი შვილების ღირსეული აღზრდისათვის. ასევე ვცდილობთ, პედაგოგებსაც შევუქმნათ ღირსეული პირობები. შარშან, რისი საშუალებაც მოგვცა ბიუჯეტმა, ჩემი ინიციატივითა და მონდომებით მოხდა ბაღების პედაგოგებისთვის და პერსონალისთვის ხელფასების გაზრდა და შემიძლია პირობა დავდო, რომ როდესაც ამისი საშუალება ექნება ბიუჯეტს, მე პირველი ადამიანი ვიქნები, ვინც მათი ხელფასების მეტად ზრდას მხარს დაუჭერს.

მე გითხარით, რომ 17 ბაღიდან 16 სრულად ან ნაწილობრივ რეაბილიტირებულია, დარჩენილია არბოშიკის საბავშვო ბაღი, რომელსაც მომავალ წელს აუცილებლად ჩავუტარებთ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და აქაც ისეთივე საუკეთესო პირობები ექნებათ ბავშვებს, როგორიც სხვა ბაღებშია. მომავალ წელს ჩვენ დავხურავთ საბავშვო ბაღების თემას.

აშკარა გამოცოცხლება იგრძნობა კულტურის სამსახურში, ამას მოწმობს სოფლის ამაგდარების წარმატებული პროექტი, ასევე ახლახანს ჩატარებული საახალწლო ღონისძიებები. სპორტის სფეროს სათავეში ჩაუდგა **დავით გონაშვილი**, კარგი ადამიანი, სპორტსმენი, რომელსაც გული შესტკივა და ძალიან ბევრი რამ გაუკეთებია ამ დარგში. **სპორტთან ერთად დიდი ყურადღება მიექცევა ახალგაზრდობას, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტია და ჩემი აზრით, ცოტა უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ჩვენ მომავალი წლის დასაწყისიდან ვგეგმავთ, რომ უფრო ახლოს მივიდეთ ახალგაზრდებთან, მოვაწყოთ მათთან შეხვედრები, პირველ რიგში დავადგინოთ, რა სურთ მათ, დავადგინოთ, რა პოტენციალი გააჩნია ამა თუ იმ სოფელს... რა ღონისძიების ჩატარება იქნება კარგი, რომ მოხდეს ახალგაზრდების ჩაბმა, მათი იდეების განხორციელება...**მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამას დიდი თანხები არ სჭირდება, ამას სჭირდება მონდომება და ყურადღების გამოჩენა როგორც ჩვენი, ასევე ახალგაზრდობის მხრიდან. წარმოდგენილი საინტერესო იდეებისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა იქნება, რაც გააუმჯობესებს მომავალი თაობის გააქტიურებას და მათ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- თქვენი გადმოსახედიდან, როგორი იყო 2014 წელი დედოფლისწყაროსთვის, როგორ შეაჯამებდით მას, რისი გაკეთება გინდოდათ, რა ვერ მოასწარით და რას ისურვებდით მომავალი 2015 წლისთვის?

- 2014 წელი მნიშვნელოვანი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანამ დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა. ჩვენი ხელისუფლება იმიტომაც არის დასაფასებელი, რომ ქვეყნის წინსვლისათვის არ ერიდება რისკიან ნაბიჯებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ, ბევრის აზრით, ერთგვარი საშიშროება შეუქმნა ხელისუფლებას. ამ საკმაოდ მაღალი თამასით შეიძლებოდა ეს არჩევნები ყველგან ისე ვერ მოეგო მმართველ ძალას, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა ხოლმე. ეს ასეც მოხდა და ბევრ ქალაქში მეორე ტური ჩატარდა. მაგრამ ვფიქრობ, ეს მართლაც გიგანტური წინგადადგმული ნაბიჯი იყო დემოკრატიულობისათვის და ჩვენი განვითარებისათვის. ესაა პოლიტიკური შეფასება, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის დონეზე- ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირადად ჩემთვის, რადგან მე მქონდა მხოლოდ ორ თუ სამთვიანი გამოცდილება გამგებლად მუშაობის. **მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, არჩევნების შემდეგ, როდესაც დიდი მხარდაჭერა იყო ხალხის მხრიდან, ჩემი პასუხისმგებლობა ერთიორად გაიზარდა და იმის შეგრძნება, რომ მავალია საკმაოდ დიდი მისია, რომ ერთგულად, პატიოსნად ვემსახურო ხალხს და ვიზრუნო მათი პრობლემების მოგვარებაზე, ეს გაცილებით გაიზარდა და მე ვფიქრობ, რომ ხალხისთვისაც უფრო ადვილია, მოსთხოვო არჩეულ გამგებელს პასუხი ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე, მოსთხოვო დახმარება, ვიდრე დანიშნულ გამგებელს.** როდესაც მოვედი, მინდოდა ყველა პრობლემა მოკლე დროში მომეგვარებინა. მაგრამ დამხვდა საკმაოდ ცუდი მემკვიდრეობა. მე მიხარია, რომ სხვადასხვა მიმართულებით მართლაც გადავდგით კარგი ნაბიჯები და მიხარია, რომ ამას ხალხი ხედავს და უჩნდება სურვილი, რომ მეტი გაკეთდეს. ხშირად ვხვდები მოსახლეობას, რამდენიმე დღის წინ ხევსურების უბანში ვიმყოფებოდი. მოსახლეობამ მწვავედ დააყენა ჩვენს წინაშე თავისი პრობლემა და სასწრაფოდ გადაჭრა მოგვთხოვა. წელს ხევსურების უბანში ოთხი ქუჩა გაკეთდა, თან ისეთი, კომუნისტების დროსაც რომ არ ყოფილა ასფალტირებული. როდესაც ამაზე ხალხთან ვისაუბრე, აღნიშნეს, რომ სწორედ ამან გაუჩინა მათ იმედი, რადგან სხვა ქუჩები გაკეთდა, რატომ არ შეიძლება, მათი ქუჩაც რომ გაკეთდეს. მათი პროტესტიც, ხანდახან, მიმაჩნია, რომ სამართლიანია, თუმცა, მოსახლეობას ერთ რამეს ვთხოვ, რომ ყველაფრის ერთ დღეს, ერთ წელს გაკეთება შეუძლებელია. თუნდაც ფინანსური რესურსების, თუნდაც დროითი რესურსის სიმწირის გამო. მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალას და ღონეს არ ვიშურებთ, თავს არ ვზოგავთ იმისთვის, რომ ჩვენი მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის ხვალინდელი დღე უკეთესი გახდეს. მერწმუნეთ, 2015 წელი გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე 2014 წელი იყო.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

„აგევსოს დღენი, ახალო წელო“

საზეიმო განწყობაა სამრეკლოს ბაგა-ბაღში, 4-5 წლიანთა ჯგუფის პედაგოგი ია გელაშვილი მხიარულად მოუძღვება აღსაზრდელებს, მას მოჰყვება მისი თანაშემწე ეკა ბერიაშვილი და მუსიკის მასწავლებელი მაია ლეკაშვილი.

-„ყოველ ახალ წელს ახალი სიხარული მოაქვს, ყოველ სიხარულს კი აღტაცება, უსაზღვრო იმედები, აღმაფრენა, ხალისი და ბედნიერება. აი, მობრძანდა კიდევ ერთი ახალი 2015 წელი, მშვიდობა, ჯანმრთელობა, სიტკბო, სიყვარული, სიუხვე მოგეტანოს, წელო ახალო, ამრავლე ქართველი ბავშვები, ადიდე საქართველო!“... - ასე ეგებება დამდეგ შობა-ახალწელს პატარა დათო და ასპარეზს ჯგუფელებს უთმობს, სანახაობრივად ლამაზი, თემატურად და შინაარსობრივად საინტერესო საახალწლო ზეიმიც დაიწყო. სათანადო ფორმებში გამოწყობილი, განუსაზღვრელი დადებითი ენერგიით აღვსილნი, მხიარულად ენაცვლებიან ერთმანეთს ცეკვასა თუ სიმღერაში, ლექსის თქმასა თუ ინსცენირებებში და კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ ულამაზეს და ულაღეს ბავშვობის წლებს. როგორც საბავშვო ბაღის გამგე მაკა ზურაშვილისგან შევიტყეთ, უფროს ჯგუფებში ორი თანაბარ პირობებში მდგომი პედაგოგის მუშაობა სიახლეა, იმ ფონზე, როცა წინა წლებში ზედა ჯგუფის მასწავლებელს მხოლოდ ძიძა ეხმარებოდა. მე პირადად, როგორც მშობელი და საზოგადოების წევრი, ამ სიახლეს მივესალმები. ამით ჩვენს პატარებს მეტი ცოდნის, კულტურული აღზრდის და მშობლიური მზრუნველობის მიღება შეუძლიათ. ვუყურებდი პედაგოგ ია გელაშვილს და გაოცებული დავრჩი მისი ენერგიულობით და საქმისადმი მიდგომით, დავრწმუნდი როგორ უნდა გიყვარდეს ბავშვები და შენი საქმე, რომ ამხელა მოტივაცია გეძლეოდეს და ასეთი დიდი ენთუზიაზმით ასრულებდე შენზე დაკისრებულ მოვალეობას. ღონისძიების დასასრულს მშობლებმა მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს ასეთი ლამაზი ღონისძიების მოწყობისა და მათ შვილებზე განსაკუთრებული ზრუნვისათვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საალმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები და სხვა მონვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

ღონისძიებათა კვირეული ხელოვნების სკოლაში

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა ორი წელია დაადგა ცვლილებების გზას.

წელს პირველად ოფიციალურად დაინერგა პედაგოგთა კლასის სავალდებულო კონცერტები. აბსოლუტურად ყველა მონაფეს, ძლიერს თუ ძალიან სუსტს, მიეცა საშუალება საკონცერტო-სალონურ გარემოში თავისი მეგობრების, მშობლების, პედაგოგების წინაშე წარედგინა თავისი ბავშვური შემოქმედება.

ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში თითქმის ყოველდღე, საახალწლო ზეიმზე მონაწილეობა მიიღეს საფორტეპიანო, სავიოლინო განყოფილებების და ფოლკლორული კლასის მონაფეებმა.

სიახლეა ისიც, რომ „უნარების ჯგუფის“ ბავშვებს გაკვეთილზე მოეთხოვებათ სმენითი მუზიცირება, ანუ სიმღერების სმენით აწყობა კლავიატურაზე. მოსწავლეებს მოეთხოვებათ პედაგოგის მინიმალური ჩარევით შეძლონ ეს.

არასოდეს, სკოლის არსებობის მანძილზე პირველი კლასის მონაფეს პირველი სემესტრის ბოლოს აკადემიურ კონცერტზე მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ამ პერიოდში ისინი ჯერ კიდევ თეორიულ და ხელით დაკვრის ელემენტარული ჩვევების გამომუშავებაზე მუშაობენ. სმენითმა მუზიცირებამ პატარა, ნიჭიერ მონაფეებს გზა გაუხსნა, ადრეული პერიოდიდან მიიღონ მონაწილეობა საკონცერტო ცხოვრებაში.

„უნარების კლასის“ კიდევ ერთი აუცილებელი მოთხოვნაა სიმღერა. ისე რომ, პირველი სემესტრის ღია აკადემიურ კონცერტზე ჩვენი „უნარების კლასის“ მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

პედაგოგთა კლასის კონცერტების დანერგვამ ძალიან დადებითი ფსიქოლოგიური ატმოსფერო შექმნა თავად მოსწავლეებში. ამ ერთკვირიანი ზეიმების შემდეგ ბავშვები ღელვისა და დაძაბულობის გარეშე გამოვიდნენ ოფიციალურ ნიშნიან ჩათვლებზე თუ დახურულ(ნიშნიან) კონცერტებზე.

„კვირეულის“ მონაწილე მოსწავლეებმა ამ დღეებში სკოლაში გამართულ „საახალწლო ჟრიამულში“ მიიღეს მონაწილეობა და აღაფრთოვანეს მაყურებელი, ხოლო დასკვნითი, წლის შემაჯამებელი ღია აკადემიური კონცერტი გაიმართა პარასკევს, 26 დეკემბერს, რომელიც ასევე მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა.

აკადემიურ კონცერტს ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, პედაგოგები, მშობლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

გამგებელმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს მაღალ დონეზე შესრულებული კლასიკური კონცერტისთვის და სკოლის დირექტორს მარიამ კიკილაშვილს ასეთი თავდაუზოგავი ზრუნვისთვის ხელოვნების სკოლასა თუ მოსწავლეებზე.

ვეგებებით ახალ წელს...

სკოლებში წინასაახალწლო განწყობაა, მოსწავლეებს გაკვეთილების მოსმენას ზეიმებზე საუბარი ურჩევნიათ, -რას ჩაიცვამენ სადღესასწაულო დღეებში, რა სიურპრიზებს უმზადებენ თანაკლასელებს და რას აჩუქებთ მათ „თოვლის პაპა“... კლასის ხელმძღვანელები კი ძირითადად ფიქრობენ, როგორ მოუწყონ ბავშვებს ლამაზი დღესასწაულები, ეძებენ სხვადასხვა პროგრამებს, ინტელექტუალურ თამაშებს, გასართობ ღონისძიებებს, არ ეპუებიან უძილო ღამეებს,რადგანაც ბავშვების საახალწლო ღონისძიებების გარეშე დატოვება წარმოუდგენელია,რაც არ უნდა დამატებით შრომას და ენერგიას მოითხოვდეს ის.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მესამე ბ კლასში საახალწლო ზეიმია . კლასის ხელმძღვანელი ქეთევან დავითაშვილი 28 სახეგაბრწყინებულ და საკარნავალო ფორმებში გამოწყობილ მესამეკლასელებს მოუძღვის ნინ. ბავშვები ბედნიერი სახეებით ეგებებიან 2015 წლის შემობრძანებას.

„- ზამთარს დიდი დრო ჰქონდა დასასვენებლად, ძალ-ღონის მოსაკრებად:გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა...ამ ხნის განმავლობაში მას არ ეძინა, ან იმის ფიქრში იყო, რომ ბავშვთა გასახარებლად გამოეგონა თოვლის ვარსკვლავები, ყინვის ლოლუები...ფანჯრების აჭრელება,...ხეებისათვის თოვლის ქულაჯების დამზადება...“-ასეთი ბრძნული ტონით შეგვახსენებს წელიწადის დროებს კახა გონაშვილი, მას მილენას და გიორგის მიერ შესრულებული ქართული ცეკვა ჩაანაცვლებს, ცეკვას სიმღერა მოჰყვება, სიმღერებს ინსცენირებები, დაიდგა „მუხამბაზი“, დააგუგუნეს „ძრავალჟამიერი“, ბევრჯერ უმღერეს ახალწელს, ამასობაში „შორი გზიდან“ მომავალი, საჩუქრებით დატვირთული „თოვლის პაპაც ‘’ მობრძანდა:-”საქართველოს ზღაპრულ სილამაზეს და ბედნიერ ახალ წელს გილოცავთ!

დაე, ეს წელი სიმშვიდის და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თქვენს ოჯახებში!“ - ომახიანად აცხადებს „თოვლის პაპა“ და თითოეულ მათგანს საახალწლოდ გაფორმებულ სასაჩუქრე პაკეტებს ჩამოურიგებს... ირგვლივ ჟრიამულია, ბავშვები ვერ ფარავენ ინტერესს და იქვე ხსნიან საჩუქრებს, უდარებენ ერთმანეთს, მხირულებაა...მათი ძალიან ბედნიერი სახის გამომეტყველებით კი კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ბავშვობა ეს ის ბუნებრივი კანონზომიერებაა, ის პერიოდია, რომელიც არაფერზე იცვლება, მას ვერ იყიდი, ვერც უკან დაიბრუნებ! ის მხოლოდ ერთხელ მოდის ცხოვრებაში და ჩვენი ცხოვრების ყველაზე უდარდელი, ლაღი და ბედნიერი ხანა ჰქვია!

მრავალ შობა-ახალწელს დახვედროდით ასე ბედნიერად, ჩვენო საყვარელო ბავშვებო!

ელზა ხარაშვილი

საახალწლო განწყობა მესამე საბავშო ბაღში

წინა საუკუნეებში ახალი წელი საქართველოში სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა და სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა. უკვე დიდი ხანია, ქვეყნის მასშტაბით ახალი წელი 1 იანვარს აღინიშნება და დეკემბრის მეორე ნახევრიდან, ყველგან წინასაახალწლო განწყობა ისადგურებს: ქუჩები შესაბამისად არის განათებული, მთავარი ნაძვის ხე მორთულია და რაც მთავარია, სასწავლო დაწესებულებებში საახალწლო ღონისძიებების კვირეული დაწყებულია. სტუმრად N3 საბავშვო ბაღში ვიმყოფებით. ამ კვირაში აქ სამი საახალწლო ღონისძიება ჩატარდა. ამჟამად ბაღში 80-მდე აღსაზრდელია, მათ განსაკუთრებულად კარგ გარემო-პირობებში მოუწიათ საბაღე ასაკმა. ამ კვირაში ქალაქის თითქმის ყველა საბავშვო ბაღში გვიწევდა ღონისძიებებზე დასწრება და ძალიან გული დამწყდა, როგორც მშობელს, რომ ჩემი შვილები ბაღში აღარ დადიან... საალმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი თავს არ ზოგავს და არც თანამშრომლებს აძლევს მოსვენებას, რომ მიაღწიოს სასურველ შედეგს... ამიტომ, მშობლები აღფრთოვანებას ვერ ფარავენ მკვეთრად გაუმჯობესებული პირობების გამო და მადლიერებას სიხარულით გამოხატავენ.

-„ძვირფასო სტუმრებო, მშობლებო და მასწავლებლებო, რამდენიმე დღეც და ისტორიის კუთვნილება გახდება 2014 წელი... იყო სიახლეები, დიდი გულისტკივილიც, იყო წარმატებები და დიდი სიხარულიც... ამ წელსაც ჩვენ კეთილი გრძნობებით და სიყვარულით ვაცილებთ, ასე რომ, ნუ მოიწყენთ, იმხიარულეთ ჩვენთან ერთად, ჩვენ ზღაპრულ სამყაროში გამოგზაურებთ”... - ამ სიტყვებით 5-6 წლიანთა ჯგუფის ერთ-ერთი აღსაზრდელი ულამაზეს ღონისძიებას დაგვპირდა და სიტყვა არ გაუტეხავს... ჯგუფის ხელმძღვანელმა ქეთინო ჯალიაშვილმა, თანაშემწე მარიტა ბექიშვილმა და მუსიკის მასწავლებელმა ხათუნა ჯანაშვილმა ბავშვების დახმარებითა და თავიანთი ძალისხმევით შეძლეს და მაყურებლამდე მოიტანეს ასეთი ლამაზი და ბავშვებისთვის დაუვიწყარი დღე.ულამაზეს ფერებში წარმოდგენილი დარბაზი, შესაბამის კოსტუმში გამოწყობილი თითოეული გმირი, უამრავი სიმღერა, ლექსი, ცეკვა თუ ინსცენირება, სამუდამოდ აღბეჭდილი თითოეული მათგანის მეხსიერებაში, ბედნიერი წუთები და საგზალი გრძელი და წარმატებული მომავალი ცხოვრებისა...

დამდეგ შობა-ახალწელს გილოცავთ, ძვირფასო ბავშვებო!

კვლავ 25 დეკემბერი, N3 საბავშვო ბაღი, 11 საათია, 2-3 წლიანთა ჯგუფში ვიმყოფებით. პედაგოგი ნანა სეხნიაშვილი ჩვეულ ამპლუაშია, მას ზუსტად ეადაგება სიტყვები: „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“. იგი ბავშვებს ემსახურება თითმის სამი ათეული წლის მანძილზე, მათთან ერთად დგას თითოეულ ზეიმზე. ახლაც სცენარში ალბათ ინსტიქტურად იხედება, უბრალოდ ყველაფერი ზეპირად იცის... ისინი კი, თითოეული მისი აღსაზრდელი, არიან მისი ცხოვრების აზრი და არსი, მისი შვილები... წელს ძალიან პატარებთან უწევს მუშაობა, ამიტომაც ღელავს, თუმცა, მიზანს მაინც აღწევს, ბავშვებს სჯერათ მისი და ჩვენი პაწიები თავს ძალას ატანენ, რომ მაყურებელთა წინაშე ამაყად წარსდგნენ, არ შეეშალოთ ლექსი თუ სიმღერა, ცეკვა თუ ინსცენირება და მასწავლებელს იმედები არ გაუმტყუნონ. ეს ერთი შეხედვით პატარა, გასართობი საახალწლო ღონისძიება, მით უმეტეს ძალიან პატარებში, სამომავლოდ ძალიან დიდ საქმეს აკეთებს, აღვივებს გრძნობას მაღალი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების პროცესის, ურთიერთმეგობრობის, უფროსებისადმი პატივისცემისას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საალმზრდელო ცენტრის თანამსრომლები, აღსაზრდელთა გულშემატკივრები და სხვა მოწვეული სტუმრები. დასასრულს ბაგა-ბაღის დირექტორმა მაია გონაშვილმა პედაგოგების და მშობლების სახელით მადლობა გადაუხადა საალმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს დღემდე გაწეული თანადგომისა და საალმზრდელო დაწესებულებებში საუკეთესო პირობების შექმნისათვის.

ელზა ხარაშვილი

საახალწლო კარნავალი „ლაბირინთში“

საახალწლო კარნავალი მოაწყეს გასართობ ცენტრ „ლაბირინთში” დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის I^ბ კლასის მოსწავლეებმა. მათი პედაგოგები გახლავთ მარინა ინასარიძე და ზეინაბ პოპიაშვილი. ღონიძიების წამყვანი „მიკი-მაუსის“ ფორმაში გამოწყობილი თაკო წიკლაური იყო, რომელმაც ბავშვები საკმაოდ საინტერესო თამაშში ჩააბა და მათი გამხიარულება შეჯიბრებით შეძლო. შემდეგ იყო „კარაოკე”, რაც პატარებს ასე ძალიან მოსწონთ. კლასი გაიყო ორ ნაწილად და გამოვლინდა გამარჯვეული გუნდი. მოსწავლეებმა „ლაბირინთის” თოვლის პაპას ნაძვის ხესთან ლესები უთხრეს და საჩუქრები მიიღეს. ბავშვებმა ითამაშეს გასართობი თამაშები, ხოლო შემდეგ სიამოვნებით შეექცნენ „ლაბირინთის” საჩუქარად გამზადებულ გემრიელ ტორტს. ტორტში იმალებოდა სიურპრიზი, რომელიც ერთ-ერთ ბავშვს შეხვდა, ეს გახლდათ პატარა სუვნიერი „თოვლის პაპა”. იყო უამრავი ფიფქები, ჰაეროვანი ბუშტების ცვენა და ნაძვისხესთან პედაგოგებთან ერთად სამახსოვრო ფოტოების გადაღება და პოზირება. ეს გახლდათ ზღაპრული სამი საათი, რომელიც I^ბ კლასის ბავშვებმა გაატარეს. ამ დღეს თანაკლასელი ლუკა კვანჭილაშვილი იუბილარი აღმოჩნდა, რომელმაც თავის მხრივ ტორტი მოართვა თანაკლასელებს. მეგობრებიც არ ჩამორჩნენ და ლუკასთვის გამზადებული საჩუქარი მინი საჭიანი გორგოლაჭი გამოაჩინეს. ლუკას იუბილემ კიდევ უფრო მეტი ხიბლი შესძინა ამ დღეს. აღნიშნული ღონისძიებით ბავშვები მათ პედაგოგებს 15 იანვრამდე დაემშვიდობნენ და ბედნიერი ახალი წელი უსურვეს მათ.

ლალი მეხრიშვილი

კარზე მოგვიკაკუნებს 2015 წელი

ასეთივე ლამაზი და სასიამოვნო იყო 4-5 წლიანთა ჯგუფის კარნავალი (აღმზრდელი ნაიკო რეხვიაშვილი, თანაშემწე ნინო ელოიანი, დამხმარე ეთერ ლობჯანიძე) ბავშვები მუსიკის თანხლებით მხიარულად შემოვიდნენ და შეასრულეს სახალისო ცეკვა, რის შემდეგ ლამაზად ჩამწკრივებულ სკამებზე მოთავსდნენ ზეიმი გაიხსნა ლექსით „ბუნების ძალავ, შენ გაუთენე ჩემს ხალხს დილა ნათელი“ . საახალწლო ზეიმს ჰყავდა მეკვლე, სადაც ბავშვებმა წარმოგვიდგინეს ახალი წლის მონტაჟი. ლექსებს სიმღერები მოჰყვა. გოგონებმა წარმოადგინეს ცეკვა „სამაია“, რომლითაც ძალიან მოგვხიბლეს, პატარების შესრულებით ხომ ყველაფერი ძალიან ლამაზი და სასიამოვნოა. საინტერესო გახლდათ მგლის და ბაჭიას მინი სცენარი. ასევე პიესა „თოვლის პაპა“, შესრულდა ცეკვები „ქართული“ და „ბაღდადური“ . მოკლედ, თოვლის პაპამ ბავშვებთან ერთად ბევრი იხალისა, იმხიარულა, ბოლოს აღმზრდელმა ნაიკო რეხვიაშვილმა ბავშვებს სურვილები გადასცა და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელიწადი. ახალი წლის დადგომა ბაღის აღსაზრდელებს მიულოცა თოვლის პაპამაც, რომელმაც საუკეთესო სურვილების ასრულება უსურვა მათ. კარნავალს ესწრებოდა სააღმზდრდელო ცენტრის სპეციალისტი ნინო კვიწინაშვილი.

-„სადაცაა კარზე მოგვიკაკუნებს 2015 წელი. ყველას ვუსურვებთ ბედნიერებას, ულევ სიხარულს და ჩანაფიქრის ასრულებას, ხოლო საააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს მადლობას ვუხდით თანადგომისა და გაწეული შრომისთვის, რომელიც ბავშვთა აღზრდასა და მათ განვითარებას შეუწყობს ხელს.”- აღნიშნა დასასრულს N2 ბაგა-ბაღის ღვაწლმოსილმა მუშაკმა და მეთოდისტმა ქალბატონმა ნათელა თამაზაშვილმა. მანვე ახალი წელი მიულოცა ჩვენ გაზეთ „შირაქს“ ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მათ მიერ განხორციელებული არცერთი ღონისძიება ყურადღების მიღმა არასოდეს დაგვიტოვებია.

მე კი, მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვთა აღზრდა და მათთან მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე რთული სამსახურია. მინდა, ყველა პედაგოგს მივულოცო დამდეგი ახალი წელი. უმრავლოთ მათ საუკეთესო თაობები, გამძლეობა და სულიერი სიმტკიცე მიანიჭოთ უფალმა. ყველა პატარას დავლოცავ, შობა-ახალი წლის მადლი მოჰფენოდეს ყველას გულს და გონებას, სიხარული, სიყვარული და მშობლების მზრუნველობა არ მოჰკლებოდეთ!

ლალი მეხრიშვილი

ლექსო ფიროსმანაშვილი

40 დღეზე მეტი გავიდა, რაც ზეციურ სასუფეველში გადასახლდი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და მონატრება. უჭირს უშენობა ბებოს, გელოდება, რომ შემოაღებ კარს და ძველებურად ომახიანად დაუძახებ, მას ხომ უშენოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, შენ იყავი მისთვის ყველაფერი, თქვენ ხომ სულიერად და მორალურად აბალანსებდით ყველა უსიამოვნო ცხოვრებისეულ შემთხვევას.

თებერვალში 90 წელი შეგისრულდა, ალბათ გრძნობდი, უკანასკნელი დაბადების დღე რომ იქნებოდა შენთვის და იმიტომაც მოგვიყარე ერთად თავი ყველას, ყველას ერთად მოგვეფერე.

ძნელია შენზე წარსულში საუბარი, შენ ხომ ღირსეულად იცხოვრე, იყავი დიდი სამამულო ომის მონაწილე, ერთგული მეუღლე, შვილების და შვილიშვილების საოცრად მოსიყვარულე მამა და პაპა, საიმედო ადამიანი.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, იგი უკვდავია, რადგან მარადისობაში გადასული ტკივილიან მოგონებად დარჩები ჩვენს გულში. შენთვის ვილოცებთ და უფალს



შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ოჯახი

ვაჟა ბოსტაშვილი



1 იანვარი შენი დაბადების დღეა, 59 წლის უნდა გამხდარიყავი. როგორი სიხარულით ხვდებოდი ყოველთვის ახალ წელს და შენს დაბადების დღეს, მაგრამ 2015 წელს უშენოდ შევხვდებით ახალ წელსაც და შენს დაბადების დღესაც.

ძნელია უშენობა, სიცარიელეა შენს იჯახში, რომელსაც მარტო შენი სურათიღა ავსებს. შენი შვილიშვილები ლუკა და ელენა მარტო შენს სურათს უყურებენ და იმით გიცნობენ. რომ გაიზრდებიან, მიხვდებინ რომ ვისი შვილიშვილები არიან, საამაყოდ ექნებათ რომ ასეთი მშრომელი, სპეტაკი, ფაქიზი, კეთილი გულის პაპის შთამომავალნი არიან.

არაფერი ყოფილა ამ წუთისოფელში სიკვდლზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. შენ ხომ კარგი ქართული ოჯახის ერთგული, კარგი შვილების აღმზრდელი, საუკეთესო მამა და კარგი მეუღლე იყავი.

58 წელი ხომ არც ისეთი ასაკი იყო ასეთი მოულოდნელი დანაკარგისთვის, მაგრამ ასეთი ყოფილა ნება უფლისა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და შენმა სულმა დალოცოს შენი მომავალი თაობები, რათა იყო მუდამ დაუვიწყარი. გზას გინათებდეს ჩვენს მიერ დანთებული სანთელი ჩვენო ვაჟა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს მარადიულ სასუფეველში.

მეუღლე თამარ გონაშვილი; **შვილები:** ზურაბი და დათო. **რძლები:** ანი და თიკო; **შვილიშვილები:** ლუკა და ელენა.

გამოსათხოვარი

ლეილა ჯინაშვილი-ალადაშვილი

„შირაქელების“ ძველ თაობას კიდევ ერთი ქალბატონი გამოაკლდა. ლეილა ჯინაშვილი ათეული წლების განმავლობაში გაზეთ „შირაქის“ ბუღალტერი იყო. თავისი საქმის კარგი მცოდნე, პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი და ზნეკეთილი, კომუნიკაბელური, ჭკუა-გონებით სავსე, შესანიშნავი დიასახლისი, ერთგული მეუღლე და ოჯახისთვის თავდადებული, საუკეთესო შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების თბილი და ტკბილი დიდი ბებია.

ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს „ლეილა დეიდასთან“. ის უშურველად მიზიარებდა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწორ რჩევას მაძლევდა, როცა რაიმეს გადაწყვეტა მიჭირდა , ასეთი იყო ყველასთვის. ის მუდამ შუამავალი იყო ხელმძღვანელობასა და კოლექტივს შორის. კარგი დრო იყო, ასე არ უჭირდა ხალხს, ამიტომ ცხოვრება უფრო ხალისიანი და საინტერესო იყო. ჩვენც, მასთან გატარებული, ბევრი კარგი დღე გვახსოვს.

გაზეთ „შირაქის“ ძველი და ახალი თანამშრომლების სახელით გემშვიდობებით, მშვენიერო ქალბატონო, ნათელში იყოს შენი სული. დაიმკვიდრე სამარადისო სასუფეველი ცათა შინა. დიდხანს გვემახსოვრები და მოგიგონებთ როგორც ერთ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანს და თანამშრომელს.

ნაირა გორაშვილი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს აზა და ილია ჯინაშვილებს დედის

ლეილა ჯინაშვილ-ალადაშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ზურა ბუწაშვილს მამის

პაატა ბუწაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს სათნოების სახლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელს ზურა ბუწაშვილს მამის

პაატა ბუწაშვილის

გარდაცვალების გამო.

მრავალ ახალ წელს!...

უკვე ერთი კვირაა, დედოფლისწყაროს ქუჩები საახალწლოდ მოირთო და ღამით ცენტრალური ქუჩების ნახვას არაფერი სჯობს. თანდათან ძლიერდება წინასაახალწლო საზეიმო განწყობა. 24 და 25 დეკემბერს დიდი საახალწლო ღონისძიება გაიმართა კულტურის სახლში. 29 დეკემბერს, 18 საათზე ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე აინთო ნაძვის ხე და გრანდიოზული კონცერტი გაიმართა, სადაც ადგილობრივებთან ერთად დედაქალაქიდან მონვეული ცნობილი შემსრულებლები მღეროდნენ. ძველი წელი დღეებს ითვლის, ცხენის წლის გასაცილებლად და მწვანე თხის წელთან შესახვედრად ყველას ერთნაირი განწყობა როდის აქვს! ბევრი ფიქრობს, რომ საზეიმო არაფერია - კვლავ უმუშევრობა და სიღარიბეა ირგვლივ გამეფებული, პენსია და სოციალური დახმარება საარსებო კალათის არაადეკვატურია, განუსაზღვრელად ძვირია სასწავლო წიგნები, რაც სერიოზული შეღავათია მშობლებისათვის და სხვაც მრავალი რამ.

მაგრამ, ცხოვრების დონით საზოგადოება კმაყოფილია თუ უკმაყოფილო, სულაც არ აინტერესებთ ბავშვებს. მათ უხარიათ ახალი წლის მოსვლა, ზეიმი და გართობა უნდათ. სწორედ მათი სურვილი გაითვალისწინა დედოფლისწყაროს კულტურის სამსახურმა და წელს პირველად სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის გამართა ძალიან ლამაზი, გრანდიოზული საახალწლო ღონისძიება კულტურის სახლში. კულტურისა და ძეგლთა დაცვის დირექტორის ნონა ჯიბღაშვილის ხელმძღვანელობით და რეჟისორული გადაწყვეტის მიხედვით დაიდგა მშვენიერი საახალწლო ზღაპარი. სცენა და დარბაზი თვალისმომჭრელად გააფორმეს მხატვარ-დეკორატორებმა: გია და მეგი ყაჭაშვილებმა და სოფო კირვალიძემ. განათება ვარლამ ქადაგიძეს ეკუთვნოდა, ხოლო ღონისძიების ოპერატორი მამუკა უთრუთაშვილი გახლდათ. დარბაზი გადაჭედილი იყო სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვებით. ისინი მოხერხებული და კონტაქტური წამყვანების ძალისხმევით აქტიურად იყვნენ ჩართული ღონისძიების მსვლელობაში და დაუფარავად გამოხატავდნენ თავიანთ მოწონებას მქუხარე აპლოდისმენტებით. სცენაზე კი კეთილი და ბოროტი ებრძოდა ერთმანეთს. ბოროტი ყარაბას-ბარაბასი (ნიკა ყაჭაშვილი), რომელიც თოჯინების ფაბრიკის დირექტორია და მხოლოდ ფულებზე ოცნებობს, კეთილი ბაბილიონას (ცარო მარტიაშვილი), ფიფქის, (მარიამ ლოლაშვილი) და ბურატინოს (თეკლა ჯიბღაშვილი) სიკეთის მაგალითზე და შეგონებით ისე გაკეთილშობილდება, რომ თავის ძველ მეგობრებს - მელა- ალისას (ლელა ბილიაშვილი) და კატა - ბაზილიოს (გია ყაჭაშვილი), რომლებსაც სურთ, თოჯინებს ცუდი საქციელი ჩაადენინონ, ფაბრიკიდან აძევებს და უკრძალავს მათთან შემდგომ ურთიერთობას. და როგორც ყველა ზღაპარში, აქაც სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე და ყველა - თოჯინები, ელფები, ფიფქები, ბეკეკები სანტა-კლაუსთან (ზურაბ წყარუაშვილი) ერთად სიხარულით ზეიმობენ ახალი წლის შემობრძანებას. და ეს ზეიმი იმდენად ლაღი, ბუნებრივი და გადამდები იყო, რომ ერთსულოვნებამ გააერთიანა დარბაზი და სცენა. პატარების გაბრწყინებული სახეების ნახვას არაფერი სჯობდა, აღტაცებული ბავშვები დიდხანს უკრავდნენ ტაშს სცენაზე მდგარ ოთხმოცამდე მონაწილეს, რომლებიც, უფროსებიც და უმცროსებიც, ერთნაირი მონდომებით და პროფესიონალიზმით ასრულებდნენ თავიანთ როლებს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სტუდია „არლეკინოს“ მოსწავლეები(ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი), ვოკალური ჯგუფი მარიამ, ანა, ლიკა ლოლაშვილების, აბრამ ახალაურის და მალვინა ისმაილოვას შემადგენლობით (ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი), აგრეთვე N1 საჯარო სკოლის IV^ბ კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელი ნონა პოპიაშვილი).

- მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერ ვარ. ჩვენმა თვენახევრიანმა დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო. მაყურებელი კმაყოფილია, ეს არის მთავარი. წელს პირველად დაიდგა ერთსაათიანი მიუზიკლი, სადაც ოთხმოცამდე 3 - დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი მონაწილეობდა. ჩვენ, მშობლებთან ერთად და მათი დახმარებით, შევძელით მონაწილეთა სათანადო ჩაცმა უზრუნველგვეყო. თავად ნახეთ, როგორი ლამაზები იყვნენ ეს პატარა მსახიობები.მინდა, ყველას მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი და მადლობა ვუთხრა ჩემს კოლექტივს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა დღევანდელი დღის ნარმატებით ჩატარებისთვის. უღრმესი მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას - გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს, კულტურის, განათების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს თამარ თამაზაშვილს მხარში დგომისა და დახმარებისთვის. ეს წარმოდგენა ორი დღე - 24 და 25 დეკემბერს გაიმართა. 29 დეკემბერს აქტიური მონაწილეობა მივიღეთ ნაძვის ხის ანთების ცერემონიალში, ხოლო **7 იანვარს, გამორჩეულად მინდა ამ ფაქტს გავუსვა ხაზი, გაიმართება გრანდიოზული საშობაო ღონისძიება „ალილო“. ჩვენ შევიკრიბებით დღის 12 საათზე ქალაქის ცენტრში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიასთან და საზეიმო მსვლელობით მოვივლით მთელ ქალაქს.** უფროსებს ვთხოვ, მოიყვანონ თავიანთი შვილები, შვილიშვილები და მონაწილეობა მიიღონ ამ რიტუალში, რომლის მიზანიც სიკეთეა: ჩვენ შევაგროვებთ ხილს, ტკბილეულს და ყოველგვარ სურსათ - სანოვაგეს, რომელსაც შემდეგ გავუნაწილებთ სათნოების სახლის ბენეფიციალებს, სოციალურად დაუცველ და ობოლ ბავშვებს. მოვუნოდებ მოსახლეობას, მათ ქუჩაზე გასვლისას, გამოვიდნენ და თავისი შესაწირი გაიღონ ამ სასიკეთო საქმისთვის. კიდევ ერთხელ, მშვიდობიან მრავალ ახალ წელს და შობას დაგვასწროს უფალმა“, – თქვა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ნონა ჯიბღაშვილმა.

რედაქცია უერთდება ამ მილოცვას და ყველას ბედნიერებას უსურვებს.

26 დეკემბერს გამართულ კონცერტს დაესწრო მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები.

– „აღფრთოვანებული ვარ, ძალიან მომეწონა მიუზიკლი, მით უმეტეს, რომ ეს პირველი მცდელობა იყო. მრავალ ახალ წელს ბედნიერებას, მშვიდობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩვენს პატარებს“,– თქვა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ნაირა გორაშვილი

ულოცავენ!

ავთანდილ და ბარიელ ბენაშვილებს!



ჩვენო საყვარელო მამიკო ავთანდილ და ბიძა ბარიელ, გილოცავთ დაბადების დღეს. სამოცი წელი შეგისრულდათ ორივეს. დაბადებიდან განუყრელად ერთად ხართ და ბუნების ძალას ვთხოვთ, მუდამ ერთად გამყოფოთ ღმერთმა.

დაგლოცავთ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სიყვარულით შვილები: ელზა, მაკა, ლალი ბენაშვილები.

თორნიკე იაკობიშვილს! ქეთი გუიშვილს!

გოლოცავთ პირველი შვილის ნატალის დაბადებას. პატარას ვუსურვებთ ჯამთელობას, სიხარულს და ბედნიერ მომავალს, ღმერთი ფარავდეს თქვენს ლამაზ ოჯახს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ასევე გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

სიყვარულით, პაპა: გივი სესიტაშვილი
დეიდები: ნინო და ირმა სესიტაშვილები
ოჯახებით. დეიდაშვილები: თეონა, გიორგი, ლუკა, საბა, ლეკაშვილები და ლიკა, აკაკი, დემეტრე ჩანგაშვილები ოჯახებით.

აჰა, მობრძანდა წელი ახალი!

ორიგინალურად გადაწყვიტეს საახალწლო ზეიმის მოწყობა ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მე-4 გ) კლასის მოსწავლეებმა და მათმა კლასის ხელმძღვანელმა ნინო ოქროპირიძემ. კლასი ოთხად გაიყო, ყველა თავის მაგიდას მიუჯდა და ზეიმიც დაიწყო. ისინი მზად იყვნენ იმისთვის, რომ ერთმანეთს გაჯიბრებოდნენ და „ებრძოლათ“ პირველობისთვის. საახალწლო ლექსის მხატვრულად წარმოთქმაში, საახალწლო ტრადიციების ცოდნაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მიხედვით, თოვლის პაპის წარმომავლობაში, ნატვრისთვალისთვის ჩათქმულ სურვილებში, სადღეგრძელოს წარმოთქმაში და საკუთარი მაგიდის გაფორმებაში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გუნდები: „ფიფქი“, „ფიფქია“, „ზამთარი“ და „ყინული“. თითოეული მათგანი თავს არ ზოგავდა თავისი გუნდისთვის მაღალი ქულები მოეპოვებინა. მათ შეფასებას ახდენდა ჟიური, სკოლის დირექტორის, ეთერ ოთარაშვილის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო დარგში ირინა თეთვაძის, დაწყებითი სწავლების პედაგოგების ნელი შოშიაშვილის და ზეინაბ პოპიაშვილის შემადგენლობით. ქართველი თოვლის პაპის, ლაპლანდიელი სანტა-კლაუსის, წმინდა ნიკოლოზის შესახებ ბავშვებმა დეტალურად ისაუბრეს და ყველა მათგანის გამაერთიანებელ ნიშნად სიკეთის ქნა დასახელეს. მშვენივრად წარმოადგინეს ქართლ-კახეთის, გურიის, რაჭის და ფშავ-ხევსურეთის საახალწლო სამზადისის და მისი აღნიშვნის ტრადიციები; მშვიდობის, კაცთმოყვარეობის, გაჭირვებულის დახმარების, სიყვარულის და თანადგომის სურვილი გამოსჭვიოდა თითოეული მათგანისგან ნატვრის თვალის ქონის შემთხვევაში. ერთმანეთთან ალავერდს გადადიოდნენ და ფიალითა და ყანწით „სვამდნენ“ სადღეგრძელოებს:

- უხსოვარ დროს, უსათნოესი და ბრძენი კაცი იქცა დიდ, ჩაუქრობელ ვარსკვლავად. იგი ენთო ცაზე. ჩანდა ყოველი მხრიდან და უკიდეგანო სამყაროში მოსულ მგზავრებს გზას უნათებდა. მას სიკეთე ერქვა, მას მასწავლებელი ერქვა. მასწავლებელი, რომელიც ბავშვის გულში თესავს და აღვივებს სიყვარულს, მეგობრობას, სათნოებას. გაუმარჯოს მასწავლებელს!

- ფეხზე წამოვუდგეთ უცნობ მომავალს, წარსულს ჩავაბაროთ გასული წლის ქარტეხილები, მღელვარე დღეები, შიში და ავის მოლოდინი. ვადღეგრძელოთ ახალი წელი და ვუსურვოთ ქართველთა ერთად ყოფნა, სიყვარული, სიკეთე, სიუხვე, ბედნიერება მოეტანოს მას ჩვენი დაღლილი ქვეყნისათვის.

- მეამაყებით, მიყვარხართ ძლიერ,
ეს სიყვარული ნავლსაც აღანთებს,
დაე, უფალმა მყოს ფეხბედნიერ,
თქვენ, ქართველები, მრავალ ახალწელს!

- ბუნების ძალავ! შენ გაუნათე ჩემს ხალხს ბედნიერი ახალი წელი, განკურნე ყოველგვარი სენისგან, დალოცე აკვანი, გაავსე სახლი ყოველი მშრომელის მზითა და სითბოთი. ბეღელი - პურით, მარანი - ღვინით, კერია - ფრინველით და გული სათნოებით. ააჟრიამულე ეზო-კარი შვილთაშვილებით, არ მოუშალო გონიერი ერისკაცი და მწყემსი საქართველოს, ნატვრისთვალი დაუდე, რათა დილით ადგეს და მამულის უკვდავება ინატროს! – ასე გამოხატეს ბავშვებმა თავისი გრძნობები.

ნებისმიერი ქართველი სიამოვნებით შეუერთდება ბავშვების ამ სადღეგრძელოებს და ნათელ მომავალს ისურვებს.

ჟიურიმ შეაფასა გუნდების მიერ წარმოდგენილი პროგრამები და მაგიდის ორიგინალური გაფორმების გამო პირველი ადგილი გუნდ „ყინულს“ მიაკუთვნა. ნინო მასწავლებელმა კი შესაკერებთა გადანაცვლებით ჯამის უცვლელობის პრინციპით გააერთიანა კლასი და ყველა გამარჯვებულად გამოაცხადა. ღონისძიების დასასრულს გვანცა ყავრელიშვილმა თანაკლასელებს სიურპრიზი მოუწყო. თითოეულს გადასცა თავსი ხელით დამზადებული ვერცხლისფერი კაკალი, რომელშიც იდო სურვილი:

„თაფლითა და ღვინით სავსე, წელი გქონდეთ ბედნიერი,
დაგებედოთ ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი.
დაესწრით მრავალს მუდამ, სიხარულით აღსავსენი,
ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის 2015 წელი!“

მეც მრავალ ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, პატარებო!.

ნაირა გორაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	სამშაბათი 30.12	ოთხშაბათი 31.12	ხუთშაბათი 01.01	პარასკევი 02.01	შაბათი 03.01	კვირა 04.01	ორშაბათი 05.01
დღე	12°	8°	1°	5°	5°	2°	2°
ღამე	5°	2°	0°	1°	2°	1°	1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K